№3/4260-10წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

11 მარტი 2011 წელი

თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ონიანი

სხდომის მდივანი ანა ჩხიკვაძე

მოსარჩელე	ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენლები	ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე
მოპასუხე	ქ. თბილისის მთავრობა
წარმომადგენელი	სალომე ბარბაქაძე
დავის საგანი	ქმედების განხორციელების დავალება;

აღწერილობითი ნაწილი

I. სასარჩელო მოთხოვნა

1.1 დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას, გასცეს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემდეგი საჯარო ინფორმაცია: შესრულებულია თუ არა „მყიდველის" მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 11.6.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვეში ერთხელ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშის „გამყიდველი-2"-ისათვის წარდგენის თაობაზე; მყიდველის მიერ „გამყიდველი-2"-სათვის წარდგენილი კონკრეტული ანგარიშების ასლები; რა თარიღიდან აიღო „მყიდველმა" საკუთარ თავზე „კომპანიის" მართვა; ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებული „პარტნიორის კრების" ოქმის ასლი; იმ საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების ამსახველი დოკუმენტი, რომელთა „პირობების შესაბამისად", მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები

(კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი); უზრუნველყოფილია თუ არა „მყიდველის“ მიერ „კომპანიის“ აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში; სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; რა ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული „მყიდველის“ მიერ დღეის მდგომარეობით; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება;

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთავრობას და მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რუსთავწყალკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის გაცემა, რაზედაც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 9 სექტემბრის №11/107635-7 წერილით განემარტა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს №04/03-214 განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, რომელსაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ გადაუცია მოსარჩელისათვის.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, 41-ე მუხლებზე, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლებზე და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობა არ დაეთანხმა სარჩელს, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა და განმარტა, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სასარჩელო განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაციას, რომელიც იზიარებს ძირითადი ხელშეკრულების სამართლებრივ სტატუსს, შესაბამისად, წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, ვინაიდან, აღნიშნული ხელშეკრულების 14.1 მუხლიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობას ეკისრება ვალდებულება, რომ არ გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

1.2 3.1.1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა

ნინო გუჯარაიძემ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთავრობას და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: გასცეს ქ. თბილისის მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რუსთავწყალკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემდეგი საჯარო ინფორმაცია: შესრულებულია თუ არა „მყიდველის“ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 11.6.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვეში ერთხელ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშის „გამყიდველი-2“-ისათვის წარდგენის თაობაზე; მყიდველის მიერ „გამყიდველი-2“-სათვის წარდგენილი კონკრეტული ანგარიშების ასლები; რა თარიღიდან აიღო „მყიდველმა“ საკუთარ თავზე „კომპანიის“ მართვა; ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებული „პარტნიორის კრების“ ოქმის ასლი; იმ საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების ამსახველი დოკუმენტი, რომელთა „პირობების შესაბამისად“, მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები (კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი); უზრუნველყოფილია თუ არა „მყიდველის“ მიერ „კომპანიის“ აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში; შრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; რა ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული „მყიდველის“ მიერ დღეის მდგომარეობით; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება; საქართველოს მთ ერობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება;

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. სასამართლო მიუთითებს 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ“-ს შორის დადებული შპს „რუსთავწყალკანალის” 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის” 100% წილის, შპს „საქწყალკანალის” 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის” 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის 14.1 მუხლში მხარეებმა მიუთითეს, რომ არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის” ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ასევე, შპს „რუსთავწყალკანალის”, შპს „მცხეთა წყალკანალი”-ს, შპს „საქწყალკანალის”, შპს „თბილისის წყალი”-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში დამატებითი განმარტებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული №1 შეთანხმებაზე, რომელიც წარმოდგენს 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეტანილი იქნა 12.4. მუხლი, რომლის თანახმადაც, ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტებში, ითვლება კონფიდენციალურად და

შესაბამისად, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებმა არ უნდა შეატყობინონ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რაიმე ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებას; შესაბამისად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ არსებობს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულება, რომ არცერთი მხარე არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების შეთანხება–ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტებში, ითელება კონფიდენციალურად – გულისხმობს, ერთის მხრივ, ხელშეკრულების მხარეთა ნებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მოთხოვილი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღნიშნული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

3.2.2. სასამართლო ვერ გაიზიარებს ასევე მოსარჩელის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ეს გულისხმობს ხელშეკრულების მხარეთა ნებას მოცემული ინფორმაციის ღიად მიჩნევის თაობაზე და განაპირობებს მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის ვალდებულებას, გასცეს ინფორმაცია მოსარჩელეზე, როგორც ღია საჯარო ინფორმაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ 2008 წლის 14 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1. და 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმების 12.4. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გასცეს აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვა მხარეების წერილობითი თანხმობის გაცემის გარეშე, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას აღნიშნული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მასალები კი სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, სასამართლოს მოსაზრებით, არ ქმნის მოპასუხის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან ვერ შეცვლის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიულ განსაზღვრებას, რომ სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას,

რაც მოსარჩელეს მოპასუხისათვის არ წარუდგენია. შესაბამისად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება მოპასუხეს ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე არ გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მიიჩნია, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ინფორმაციის თავისუფლების გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტი იძლევა საჯარო ინფორმაციის განმარტებას: საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი), ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მის ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. ხოლო ამავე კოდექსის 38-ე მუხლი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ზემოაღნიშნული ნორმების განმარტებიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ხოლო ამგვარი სტატუსის დოკუმენტი, შესაძლოა, ღია და დახურული ინფორმაციის სახით არსებობდეს საჯარო დაწესებულებაში. ღიაა ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით არ არის გასაიდუმლოებული.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ატარებს ამგვარ სტატუსს, მაგრამ ასეთი ინფორმაცია შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოვდეს და აღარ წარმოადგენდეს ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაში არის შეზღუდული: 1) როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და 2) როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ზემოაღნიშნული უფლება საერთაშორისო აქტებში შეიცავს ანალოგიური რეგლამენტაციას, კერძოდ, 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. 1966 წლის 16 დეკემბრის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის თანახმად, 1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი. 2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით".

6.3. მიუხედავად ზემოაღნიშნული სამართლებრივი გარანტიებისა, სასამართლო მიუთითებს, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური, შეუზღუდავი ხასიათის და როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე ზემოთ მითითებული სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უფლება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა არსებით საზოგადოებრივ ინტერესთან, როგორიც არის პირადი, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, სწორედ აღნიშნული შეზღუდვის რეგლამენტაციას ახდენს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

მსგავს შეზღუდვას აწესებს ასევე საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების

დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად კი, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

საჯარო ინფორმაციის მიღების შეზღუდვის საფუძვლებს შეიცავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ამ თავისუფლების განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ" ქვეპუნქტი იძლევა საიდუმლო ინფორმაციის განმარტებას, კერძოდ, საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კომერციული საიდუმლოების ცნებას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად, ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ხიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

სასამართლო მხარეთა ყურადღებას გაამახვილებს ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციაზე – იმისათვის, რომ საჯარო ინფორმაციას გააჩნდეს კომერციული საიდუმლოების სტატუსი, კანონმდებელი საკმარისად მიიჩნევს პირისათვის, კერძოდ კი, მისი კონკურენტუნარიანობისათვის შესაძლო და არა სავალდებულო ზიანის მიყენებას, ამასთან, არ ზღუდავს ასეთი ინფორმაციის სახეს. თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა კი ნიშნავს სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნის სამომხმარებლო ბაზარზე.

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი – შესრულებულია თუ არა „მყიდველის" მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 11.6.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვეში ერთხელ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშის „გამყიდველი-2"-ისათვის წარდგენის თაობაზე; მყიდველის მიერ „გამყიდველი-2"-სათვის წარდგენილი კონკრეტული ანგარიშების ასლები; რა თარიღიდან აიღო „მყიდველმა" საკუთარ

თავზე „კომპანიის“ მართვა; ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებული „პარტნიორის კრების“ ოქმის ასლი; იმ საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების ამსახველი დოკუმენტი, რომელთა „პირობების შესაბამისად“, მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები (კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი); უზრუნველყოფილია თუ არა „მყიდველის“ მიერ „კომპანიის“ აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; რა ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული „მყიდველის“ მიერ დღეის მდგომარეობით – შეეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის – შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის“ შესახებ იმგვარი ხასიათის ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია მის კერძო და ფინანსურ საკითხებთან და რამაც შესაძლებელია იმოქმედოს მის კონკურენტუნარიანობაზე, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართული და ასეთი საქმიანობის შედეგად მოგების მიღების მიზნით შექმნილი მეწარმის ინტერესზე, ამგვარი ინფორმაციის საჯაროობა შეიცავს პოტენციურ საფრთხეს მისი ეკონომიკური ინტერესისათვის, რაც გათვალისწინებულ იქნა კიდეეაც თავად ხელშეკრულებით, კერძოდ კი, 2008 წლის 14 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1. და 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმების 12.4. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობა ვალდებულია არ გასცეს აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვა მხარეების წერილობითი თანხმობის გაცემის გარეშე.

ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე ინფორმაციის კონფიდენციალურობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებულ ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას, ვინაიდან ხსენებული ინფორმაცია წარმოადგენს არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს შესახებ ინფორმაციას, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების მხარის – კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებულ, მისი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით რეგლამენტირებულ, კომერციული საიდუმლოების ფარგლებში მოქცეულ ინფორმაციას, რომლის საჯაროობის შეზღუდვა, სასამართლოს მოსაზრებით, შეესაბამება კანონს.

6.4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლო განმარტავს, რომ კომერციული საიდუმლოების ხელმისაწვდომ ინფორმაციად მიჩნევა და გაცემა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, დამოკიდებულია იმ პირის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წარდგენაზე, რომლის შესახებ არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი, რაც ფაქტობრივად აღემატება მოთხოვნილი ინფორმაციის ზემოაღნიშნული ნაწილის დაუბრკოლებლად და რაიმე პირობის გარეშე ხელმისაწვდომ მოცულობას, რის გამოც, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6.5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლში მოცემულია იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ხსენებული მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებელი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

სასამართლო მიუთითებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" 1998 წლის 25 ივნისის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

იგივე პრინციპულ რეგლამენტაციას შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩლის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში და სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – წარმოადგენს წყლის ხარისხის ამსახველ და შესაბამისად, გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს ღია საჯარო ინფორმაციას და შესაბამისად, მოსარჩელისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რაც სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. ხოლო ამავე კოდექსის 38-ე მუხლი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

6.6. სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს სასარჩელო მოთხოვნას ასევე იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება, ვინაიდან აღნიშნული განკარგულებები არ წარმოადგენს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის იმგვარ სახეს, რომლის გასაიდუმლოების შესაძლებლობასაც იძლევა მოცემული კანონი, კერძოდ, კი არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციას.

6.7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისი 33[1] მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება მოპასუხისგან მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, მაგრამ კანონმდებლობითვე დადგენილ ფარგლებში და შეზღუდვების გათვალისწინებით. შესაბამისად, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, დაევალოს მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას გადასცეს მოსარჩელეს მოთხოვილი ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რუსთავწყალკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში და სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება, დანარჩენ ნაწილში კი მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

7. საპროცესო ხარჯები

სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებილი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოსარჩელემ სარჩელის აღძერისას გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი. შესაბამისად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 50 ლარი უნდა გადახდეს მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას მოსარჩელის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 24-ე, 33[1] მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას დაევალოს მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს საჯარო ინფორმაციის სახით გადასცეს ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში და სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება, დანარჩენ ნაწილში კი მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

3. ქ. თბილისის მთავრობას დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებ: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე თამარ ონიანი